ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1038120

ნომერი: AR1182343

თარიღი : 04.12.2013

გაცემის თარიღი : 11.12.2013

გაცნობის თარიღი : 12.12.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ცენტრალური ისანი-სამგორი , ნაკვეთი 01/154 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე ღარიბაშვილი პ/ნ 01009010887
- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 2კვ. კორპ. 12 ბ. 27

ორგანიზაცია:

- შპს ''ტრანს კავკასუს ტერმინალსი'' კოდი: 202462101

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დააკონკრეტოთ საპროექტო შენობის ფუნქცია და აქვე გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სატრანსპორტო ზონა 2 (ტრ-2), რომელიც წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს, სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საზღვაო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები) და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფ სხვა საზოგადოებრივ სამყოფებს/სათავსებს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ იქება შესაძლებელი საკითხის განხილვა.

ამასთანავე გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ნაკვეთის მესაკუთრემ (შ.პ.ს. "ტრანს კავკასუს ტერმინალსი LLC TRANS CAUCASUS TERMINALS"-ს დირექტორმა მოქ. ლევან ჯღარკავამ), მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

ასევე საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება იპოთეკარის თანხმობა I კლასის ობიექტის მოწყობასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.